GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

30 Ekim / ოქტომბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	0.7%

4. Tiflis İpek Yolu Forumu

თბილისის აბრეშუმის გზის მე-4 ფორუმი

2023 Tiflis İpek Yolu Forumu başarıyla tamamlandı.

2023 Yılında ana konusu Bağlanırlık olan Tiflis İpek Yolu Forumu Gürcistan'da 4. kez düzenlenmiş olup açılış töreni 26 Ekim tarihinde Tiflis Devlet Opera ve Bale Tiyatrosu'nda Gürcistan, Ermenistan, Azerbaycan ile Karadağ Başbakanlarının katılımıyla gerçekleşti.

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili tarafından 2015 yılında kurulmuş İpek Yolu Forumu uluslararası marka haline gelip mühim bir siyasi ekonomik flatformu oldu.

Başbakan Garibashvili açılış oturumu konuşması esnasında hem bölgesel hem küresel bağlamda önemli siyasi ekonomik konulara değindi.

Açılış oturumu ana konuşmacıları İpek Yolu'nun tarihi öneminden, Orta Koridor'un gelişimi ve faydalılığından, bölge ve dünyada ülkeler arasında mevcut zorluklardan ve ülkeler arasındaki işbirliği ve çeşitli yönlerde ortak olma ihtiyacından bahsetmiş oldular.

Tiflis İpek Yolu Forumu'nun 2. günü Gürcistan Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı'nın karşılama konuşmasıyla açıldı. Davitashvili konuşmasında başta hem bölgesel, hem küresel ekonomiye fayda sağlayacak etkili ortak kararların alınması ve ülkeler arasında işbirliği yürütülmesi olmak üzere birkaç temel vurgu yaptı.

2023'te İpek Yolu Forumu'na dünyanın 60'ten daha fazla ülkeden benzeri görülmemiş miktarda- 2000'den daha fazla konuk katıldı.

İki gün boyunca birkaç konumda yürütülmüş olan üst düzey oturumlarda ticaret, ulaştırma, enerji, yatırım, turizm, muhabere ve bilgi sistemleri dahil olmak üzere mühim konular görüşüldü.

İpek Yolu Forumu'na kordiplomatik ve finansal ve donör kuruluşlar da dahil olmak üzere uluslararası kuruluşların (Dünya Bankası, Avrupa İmar ve Kalkınma Bankası, Asya Kalkınma Bankası, Amerika

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI ეროვნული IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Birleşik Devletleri Uluslararası Kalkınma Ajansı, Karadeniz Ekonomik İşbirliği Örgütü, Avrupa Hava Seyrüsefer Güvenliği Örgütü, Uluslararası Denizcilik Örgütü vb.) temsilcileri, uluslararası şirketlerin yöneticileri ve uluslararası düzeydeki uzmanlar iştirak etmişlerdir.

Oturum Başkanı görevi BBC, Bloomberg ve Deutsche Welle gazeteciler tarafından yerine getirildi. Etkinlik 200'e kadar yerel ve yabancı gazeteci tarafından yayınlanmaktaydı.

Forum sırasında özel sektörü temsilcilerinin katılımıyla 250'den daha fazla B2B görüşme gerçekleştirildi.

თბილისის აბრეშუმის გზის 2023 წლის ფორუმი წარმატებით ჩატარდა.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი, რომლის მთავარი თემა 2023 წელს „დაკავშირებადობა“ იყო, საქართველოში მეოთხედ ჩატარდა - ღონისძიების გახსნის ცერემონია 26 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და მონტენეგროს პრემიერ-მინისტრების მონაწილეობით.

აბრეშუმის გზის ფორუმი, რომელიც 2015 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დააფუძნა, საერთაშორისო ბრენდად იქცა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ პლატფორმად ჩამოყალიბდა.

ირაკლი ღარიბაშვილი ფორუმის გახსნით პანელზე სიტყვით გამოვიდა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ისაუბრა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ ჭრილში.

ფორუმის გახსნითი პანელის მთავარმა სპიკერებმა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს აბრეშუმის გზის ისტორიულ მნიშვნელობაზე, „შუა დერეფნის“ განვითარებასა და სარგებლიანობაზე, რეგიონსა და მსოფლიოში ქვეყნებს შორის არსებულ გამოწვევებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის, სხვადასხვა მიმართულებით პარტნიორობის აუცილებლობაზე.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მეორე სამუშაო დღე საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. მინისტრმა თავის გამოსვლაში რამდენიმე ძირითადი აქცენტი გააკეთა.

მათ შორის ისაუბრა ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და ერთობლივი, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ ეკონომიკას.

2023 წლის „აბრეშუმის გზის ფორუმს“ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა - 2000-ზე მეტი სტუმარი დაესწრო მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნიდან.

მაღალი დონის სესიებზე, რომლებიც ორი დღის განმავლობაში რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობდა, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ინვესტიციების, ტურიზმის, კომუნიკაციებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

„აბრეშუმის გზის ფორუმში“ მონაწილეობდნენ ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო, მათ შორის საფინანსო და დონორი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაცია, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია და სხვა) წარმომადგენლები, საერთაშორისო კორპორაციების ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო რანგის ექსპერტები.

სესიების მოდერატორები იყვნენ BBC-ის, Bloomberg-ის, Deutsche Welle-ს წამყვანი ჟურნალისტები. ღონისძიებებს 200-მდე ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტი აშუქებდა.

ფორუმის ფარგლებში კერძო სექტორის მონაწილეობით 250-ზე მეტი B2B შეხვედრა გაიმართა.

Rikoti Karayolunun 27 Kilometrelik Bölümü Devreye Alındı

რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა

Rikoti karayolunun 27 kilometrelik bölümü açıldı. Doğu-Batı uluslararası karayolunun bu bölümü 65 köprü ve 38 tuneli birleştiriyor.

Yolun 4 şeritli bölümü Kharagauli Belediyesine bağlı Khevi köyünden başlayıp Zestaponi Belediyesine bağlı Şorapani kasabasında bitiyor. Yeni açılmış bölüm Rikoti seyahat mesafesini 8 kilometre, geçiş süresini ise 25 dakika azaltmakta.

Rikoti projesi kapsamında toplam 51 tunel ve 97 köprü inşa edilmektedir, şu an için 48 tunel açılmış, 83 köprü ise inşa edilmiş durumda.

Doğu-Batı karayolunun inşası uluslararası finansal kuruluşları- Avrupa Yatırım Bankası (EIB), Dünya Bankası (WB), ve Asya Kalkınma Bankası'nın (ADB) destekleriyle sürdürülmektedir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

İnşaat işlerinin toplam maliyeti yaklaşık 2.6 milyar Lari teşkil eder. Proje bitimi 2024 yılında öngörülüyor.

რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალის 27 კმ-იან მონაკვეთზე მოძრაობა გაიხსნა. აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის ეს მონაკვეთი მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს.
გზის 4 ზოლიანი მონაკვეთი იწყება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან და მთავრდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაბა შორაპანთან.
ახალი მონაკვეთი რიკოთზე გადაადგილების მანძილს 8 კმ-ით, ხოლო გადაადგილების დროს 25 წუთით ამცირებს.
საერთო ჯამში, რიკოთის პროექტის ფარგლებში შენდება 51 გვირაბი და 97 ხიდი, ამ დროისათვის კი, უკვე გაჭრილია 48 გვირაბი და აშენებულია 83 ხიდი.
აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობა საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების - ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), მსოფლიო ბანკისა (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს.
სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა. პროექტის დასრულება 2024 წელს იგეგმება.

Türkiye'de Refinansman Oranı %35'e Kadar Arttı

თურქეთში რეფინანსირების განაკვეთი 35%-მდე გაიზარდა

Türkiye Merkez Bankası refinansman oranını %5 daha, %30'dan %35'e kadar arttırdı.
Türkiye'de Haziran sonrası refinansman oranı %26.5 artış gösterdi.
Haziran ayında oran %8.5 olup %15'e kadar artmıştı; ikinci kez Temmuz ayında %15'ten %17.5'e kadar arttı; üçüncü kez Ağustos ayında %17.5'den %25'e; dördüncü kez ise Eylül ayında, %25'ten %30'a kadar artış gösterdi.

Bundan önce refinansman oranı %30 idi, fakat bu rakam enflasyonu dizginlemek için yeterli olmadı, çünkü geçen ay ülkede tüketici fiyatları %61'e kadar yükseldi. Geçen sene enflasyon oranı %61.35'i teşkil etmişti.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა, რეფინანსირების განაკვეთი 5%-ით, 30%-დან 35%-მდე გაზარდა.
ბოლო გადაწვეტილებით, ივნისის შემდეგ თურქეთში რეფინანსირების განაკვეთი 26.5%-ითაა გაზრდილი.
ივნისში განაკვეთი 8.5% იყო და 15%-მდე გაიზარდა; მეორედ - ივლისში, 15%-დან 17.5%-მდე; მესამედ - აგვისტოში, 17.5%-დან 25%-მდე; მეოთხედ კი სექტემბერში, 25%-დან 30%-მდე.

აქამდე განაკვეთი 30% იყო, თუმცა ის ვერ აღმოჩნდა საკმარისი ინფლაციური წნეხის დასაძლევად, რადგან გასულ თვეს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ზრდის დონე 61%-მდე გაიზარდა.
გასულ თვეში ინფლაციამ 61,35% შეადგინა.

9 Ayda Gürcistan'a 7.5 Milyon'dan Daha Fazla Parsel Getirildi

9 თვეში საქართველოში 7.5 მილიონზე მეტი ამანათი შემოვიდა

2023'ün ilk 9 ayı verilerine göre, Gürcistan'a getirilen parsel sayısı artmış durumda.

Resmi verilere göre, Ocak-Eylül aylarında posta paketlerinin sayısı yıllık %53.4 oranında artış gösterdi. 2022'nin 9 ayında ülkeye getirilen parsel sayısı 4 918 231 iken, cari sene söz konusu dönemde 7 591 853 parsel getirildi.

9 Ayda posta paketlerinin getirildiği İlk 5 Ülke Sıralaması:

Türkiye- %28.54

Çin- %23.54

ABD- %16.81

Yunanistan- %7.88

İtalya- %7

Geri kalan %16.24'ü diğer ülkelerden getirilen parseller teşkil ediyor.

Belirtmek gerekir ki, geçen seneki Ocak-Eylül döneminde ülke sıralamasında ABD 2. sırada, Çin ise 3. sırada yer almıştı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

2023 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, საქართველოში ამანათების შემოსვლის მაჩვენებელი გაიზარდა.

ოფიციალური მონაცემებით, იანვარ-სექტემბერში საფოსტო ამანათების რაოდენობა წლიურად 53.4%-ით გაიზარდა. წელს ამ პერიოდისთვის ქვეყანაში 7 591 853 ამანათი შემოვიდა, მაშინ როდესაც 2022 წლის 9 თვეში შემოსული ამანათების რაოდენობა 4 918 231-ს შეადგენდა.

აღნიშნულ პერიოდში TOP-5 ქვეყნის რეიტინგი, საიდანაც საფოსტო ამანათები შემოვიდა, ასეთია:

თურქეთიდან - 28,54%;

ჩინეთიდან - 23,54;

აშშ-დან 16,81%;

საბერძნეთიდან - 7,88%;

იტალიიდან - 7%;

დანარჩენ ქვეყნებზე კი ჯამურად ამანათების 16,24% მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყნების რეიტინგში მეორე ადგილს აშშ იკავებდა, შემდეგ კი ჩინეთი მოდიოდა.

Acara’da Standart Dışı Narenciye Sübvansiyonu İkiye Katlandı

აჭარაში არასტანდარტულ ციტრუსზე სუბსიდირება გაორმაგდა

Narenciye mevsimi eksiksiz olarak yürütmek adına ve satışlara destek amaçlı bir yönetim merkezi Acara Hükümet Başkanı Tornike Rizhvadze ile Acara Tarım Bakanı tarafından açıldı.

Acara Hükümeti tarafından alınmış karara göre, işlenebilir standart dışı mandalina sübvansiyonu ikiye katlanmış olup narenciye yetiştiren çiftçilere 15 Tetri yerine 30 Tetri verilecektir.

Acara Hükümet Başkanı turuncu hasada katılıp çiftçilere artan sübvansiyon ile ilgili yeni verilmiş kararı bizzat bildirdi.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Cari sene 55 000 tona kadar narenciye hasadı bekleniyor. Bu sene ihraç mandalinayı 20'den daha fazla narenciye işleme tesisi alacaktır, standart dışı mandalina ise Kobuleti konserve fabrikası tarafından sınırsız miktarda işlenecek.

Yönetim merkezi narenciye lojistiği ve satışlarını teşvik etmenin yanı sıra sübvansiyonu sağlamayı da hedefliyor. Merkez 1 Şubat'a kadar faal olacak. Bunun dışında herkesin gerekli bilgileri alabileceği bir yardım hattı aktif hale getirilecektir.

ციტრუსის სეზონის შეუფერხებლად განხორციელებისა და ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად გახსნა.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაორმაგდა და მეციტრუსე ფერმერები სახელმწიფოს მხრიდან 15 თეთრის ნაცვლად 30 თეთრით დაფინანსდებიან.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ნარინჯისფერ რთველში და გაზრდილ სუბსიდირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ფერმერებს პირადად გააცნო.

მიმდინარე წელს, საპროგნოზო მონაცემებით, 55 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალია მოსალოდნელი. წელს საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს, რაც შეეხება არასტანდარტულ ნაყოფს, ქობულეთის საკონსერვო ქარხანა შეუზღუდავი რაოდენობით გადაამუშავებს.

ციტრუსის შტაბი მიზნად ისახავს ციტრუსის ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ხელშეწყობას, ასევე ციტრუსის სუბსიდირების უზრუნველყოფას. შტაბი მუშაობას 1-ელ თებერვლამდე გააგრძელებს. ამოქმედდება ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება.

Gürcistan-Suudi Arabistan Ortak İş Konseyi Kuruldu

საქართველო-საუდის არაბეთის ერთობლივი ბიზნეს საბჭო დაფუძნდა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Eylül Ayında Ticari Bankalar Tarafından Verilen Kredi Hacmi 1.15 Milyar Lari Arttı

სექტემბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 1.15 მლრდ ლარით გაიზარდა

Genel Bütçe Vergi Gelirleri 2.3 Milyar Lari Arttı

ბიუჯეტში გადასახადებიდან შესული თანხა 2,3 მლრდ ლარით გაიზარდა

Japonya'da Enflasyon Oranı 40 Yıllık Maksimuma Ulaştı

იაპონიაში ინფლაციამ 40-წლიან მაქსიმუმს მიაღწია

Standart Dışı Elma Sübvansiyon Programı Kapsamında 13 000 Tona Kadar Elma İşlendi

არასტანდარტული ვაშლის სუბსიდირების პროგრამით, 13,000 ტონამდე ვაშლი გადამუშავდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.7037 TRY/GEL – 0.0959 EUR/GEL – 2.8565 GBP/GEL – 3.2793

USD/GEL

23 - 30 Ekim 2023



USD/TR

23 - 30 Ekim 2023

TRY/GEL

23 - 30 Ekim 2023

BTC – 34 . 201 41

23 - 30 Ekim 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING